13.08.2018

საექსპერტო დასკვნა

III კლასს დაქვემდებარებული, სასაწყობე დანიშნულების შენობის პროექტის „შენობა- ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობაზე.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის სასწ.საცდელი მეურნეობა ს/კ 01.72.14.014.237-ის მიმდ; ქალაქი თბილისი დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა (ს/კ 01.72.14.014.685).

ინსპექტორი – არქიტექტორი თ. აბაშიძე

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან–„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

პროექტის მიზანს წარმოადგენს სასაწყობე დანიშნულების შენობის დაგეგმარება თანამედროვე გეგმარებითი პრინციპების და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

შენობის და საპროექტო მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისთვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, ტექნიკური რეგლამენტი, "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები".

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

ინსპექტირების დასკვნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის N:57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

5) გზა-კიბეებისა და სხვა გამოსასვლელი საშუალებების გამტარიანობების შეფასებას;

6) მისაწვდომობის შეფასებას;

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

11) წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გათვალისწინებულია შემდეგი დაკავებულობები:

სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (-0.42, +4.38 ნიშნულებზე)

- საპონი;
- კალათები;
- მუყაო და მუყაოს ყუთები;

აღნიშნული შეესაბამება 311.2 ქვეთავს.

საქმიანი ჯგუფი სქ (± 0.00 +3.20 ნიშნულებზე)

- მონაცემთა ელექტრონული დამუშავებას;

აღნიშნული შეესაბამება 304.1 ქვეთავს.

შენობაში არსებული დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1004.1.2 ცხრილის მიხედვით. სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, კერძოდ:

პირველი სართული (სქ) მიკუთვნებულია საქმიანი სივრცის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობი გაყოფილია 9.3-ზე. ხოლო (სწ-2)- სთვის მიკუთნებულია მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო სივრცის სტატუსი და მთლიანი ფართობი გაყოფილია 27.9-ზე. ასევე მეორე სართულზეც.

დაკავებულობების დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია N:41 დადგენილების მე-10 თავის 1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის მიხედვით (დაკავებულობის დატვირთვის მაჩვენებლები დამრგვალებული მთელი რიცხვის სიზუსტით).

<u>დაკავებულობის ჯგუფის შერჩევა და ასევე მათი დატვირთვის გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

შენობის კონსტრუქციული ტიპი განსაზღვრულია V-A, რომელიც შერჩეული იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისთვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

<u>კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული V- A ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს.

შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 10.2 მეტრი, ხოლო შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს მიწის დონიდან +4.38 სიმაღლეზე.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელებთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

დაკავებულობისა, სართულიანობის და გასასვლელამდე მისადგომი მაქსიმალური მანძილის გათვალისწინებით შენობის პიორველ სართულს მოეთხოვება 6 გასასვლელი (ცხრილი 1021.2(2) და 1016.2) რაც პროექტით არის გათვალისწინებული. მეორე სართულზე მოეთხოვება (3 გზა-კიბე) რაც ასევე გათვალისწინებულია პროექტში

გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასავლელების და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარიანობების შეფასება:

გზა-კიბეების საგანე არის 95 სმ რაც აკმოყოფილებს 1009.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 90 სმ თავისუფალ სიგანეს და აკმაყოფილებს 1008 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელი საშუალებების გამტარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

6. მისაწვდომობის შეფასება:

პროექტში ასახულია მისაწვდონმი სვლაგეზი;

ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშვალების ნაწილია არის მისაწვდომი;

შენობაში გათვალისწინებულია მისაწვდომი ტვალეტი;

სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს.

მისაწვდომობია აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

“ა-გ”, „1-7“, „2-1“ და „ე-ა“ ღერძებს შორის მოქცეულ გარე კედლებს მოეთხოვებათ ერთ საათიანი ცეცხლმედეგობა, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომგინარე (602 ცხრილის მიხედვით).

“ა-გ”, „1-7“ და „2-1“ ღერძებს შორის მოქცეულ გარე კედლებზე დაუშვებელია ღიობების განთავსება, „7-4“ ღერძებს შორის დასაშვებია დაუცველი 25% ხოლო „ე-ა“ ღერძებს შორის დასაშვებია დაცული 15% ღიობების განთავსება (705.8 ცხრილის მიხედვით).

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (V-A ტიპი) გამომდინარე სახურავის კონსტრუქციას მოეთხოვება 1სთ ცეცხლმედეგობა.

სახურავის ანაწყობი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

კონსტრუქციის ტიპიდან (V-A) გამომდინარე შენობის იატაკის კონსტრუქციას მოეთხოვებათ 1 სთ ცეცხლმედეგობა.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

წარმოდგენილი პროექტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ წესების თანახმად შენობას არ ესაჭიროება ავტოსაშხეფი სისტემის მონტაჟი. შენობაში განთავსებულია ხელის ცეცხლმაქრები პირველ სართულზე (9 ცალი). ასევე (9 ცალი) განთავსდება მეორე სართულზეც.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. კერძოდ:

შენობა უზრუნველყოფილია 3 უნიტაზით, 3 ხელსაბანით, 2 სამომხმარებლო ნიჟარით და 1 წყლის დასალევი დისპენსერით.

<u>წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყბილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

დასკვნა:

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში,დიღმის სასწ.საცდელი მეურნეობა ს/კ 01.72.14.014.685 განთავსებული სასაწყობე შენობის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი არქიტექტორი  **თამაზ აბაშიძე**

CV



სახელი: თამაზ

გვარი: აბაშიძე

დაბადების ადგილი: ქ. თბილისი

დაბადების თარიღი: 30 მარტი 1966 წ.

ეროვნება: ქართველი

მოქალაქე: საქართველოს

ოჯახური მდგომარეობა: მყავს მეუღლე და ორი შვილი

საკონტაქტო ინფორმაცია

ტელ.: 2 270729;

E-mail: thomaabashidze@gmail.com

განათლება:

არქიტექტორი

1984-1991 წ.წ. – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურა

2017- - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი (დოქტორანტი)

სამუშაო გამოცდილება და თანამშრომლობა:

1. **1991-1993 წ.წ.** – შპს. „რეკლამა" არქიტექტორი
2. **1997-2000 წ.წ.** – კორპორაცია „თბილგაზი" არქიტექტორი
3. **2000-2002 წ.წ.** – შპს. „არქიკომი" არქიტექტორი
4. **2003-2006** წ.წ. - შპს „ბურჯი" არქიტექტორი.
5. **2006-2016** წ.წ. – შპს "ა არქიტექტურა" საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი.

შესრულებული და მიმდინარე ობიექტები:

- სასტუმრო ვერტოდრომით სოლოლაკის ხეივანში 2004
- მარტვილის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი. 06/02/2010
- წალენჯიხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი. 10/06/2010
- ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილის მიმდებარედ ხელოვნური ტბის რეაბილიტაცია კეთილმოწყობის პროექტი. 08/07/2011

- კოჯორი სოფ. დიდება ერთბინიანი საცხ. სახლი. 07/03/2012
- სოფ. დიღომი ერთბინიანი საცხ. სახლი. 19/08/2013
- ქ. თბილისი, სანდროეულის ქ. მრავალფუნქციური შენობა. 17/07/2014
- ქ. თბილისი, პეკინის ქ. 2 რეკონსტრუქცია 27/07/2015
- ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. 86 მრავალბინიანი საცხ. სახლი. 19/03/2015
- ქ. თბილისი, ბუხაიძის ქ. №31 ერთბინიანი საცხ. სახლი. 20/01/2016
- სოფ. დიღომი, წმ. გიორგის უბანი ინდ. ერთბინიანი საცხ. სახლი. 24/02/2016
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფ. ნატანები. გრგ 15/12/2016
- მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფ ნავდარაანთკარი. გრგ 12/02/2017
- ოქროყანა, ფუნიკულიორის ზემო პლატო. ინდ. ერთბინიანი საცხ. სახლი. 03/02/2017
- ქ. თბილისი, დიდი ლილო, სოფ.ნასაგური. გრგ 05/05/2017
- სოფ. დიღომი, ხატაეთის ქუჩა №218 ინდ. ერთბინიანი საცხ. სახლი. 09/06/2017
- ქ. თბილისი, გ. ტერევერკოს ქ. №18 მრავალბინიანი საცხ. სახლი. 15/07/2017
- მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფ. ახალუბნის ტერიტორია. გრგ 08/07/2017
- ქ. თბილისი, დაბა წყნეთი მ.წყნეთელის ქ. №9 ინდ. ერთბინიანი საცხ. სახლი. 02/08/2017
- ქ. თბილისი, გასასვლელი იმედაძის ქ. №1 ინდ. ერთბინიანი საცხ. სახლი. 28/08/2017
-

კომპიუტერული პროგრამები:

საოფისე და პროფესიული პროგრამები: **Microsoft Office, GRAPHISOFT, Autodesk, Adobe, ArchiCAD.**

ენები:

- ქართული (მშობლიური) – ძალიან კარგად
- რუსული –კარგად
- ინგლისური – საშუალო

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01013013021

სახელი თამაზ

გვარი აბაშიძე

დაბადების თარიღი 30.03.1966

დაბადების ადგილი თბილისი

№ ღ 1414565

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 20 ბ. 29

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახური

გაცემის თარიღი 14.02.2011

მოქმედების ვადა 14.02.2021

რეგისტრაციის თარიღი 14.02.2011

ბ.ა. უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამატებითი ინფორმაცია: შშს „კაბადონი +"; სფს რეგისტრაციის № 05 -1623

Generated by CamScanner from intsig.com